



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ლალი ფაფიაშვილის საქართველოს უზენაესი
სასამართლოს მოსამართლედ არჩევის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 204-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 205-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. არჩეულ იქნეს ლალი ფაფიაშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

არჩილ თალაკვაძე

თბილისი,
2019 წლის 12 დეკემბერი.
№5560 – II